საქმე №010910024900172786

საქართველოს უზენაესი სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-08-24 **24 ოქტომბერი 2024 წელი**
ქ.თბილისი

სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
თავმჯდომარე - გოჩა აბუსერიძე (მომხსენებელი),
მოსამართლეები: მირანდა ერემაძე,
თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენით

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ--- ჯ----------ი
საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - მ----მ ჭ----ა

პროცესუალური მოწინააღმდეგე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ---რ ხუ----------ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 3 ივლისის №040/22 გადაწყვეტილება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 3 ივლისის №040/22 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:

1. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 09.06.2022წ.

საჩივრით მიმართეს ა--------ა - თ----ი---------ა და ი---- ე----მ, ადვოკატ ლ--- ჯ-----------ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.1. საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2022 წლის 14 აპრილიდან ახორციელებდნენ ბრალდებულ გ---ი ჩ------ს ინტერესების დაცვას. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატი ლ--- ჯ-----------ი წარმოადგენს დაზარალებულ მხარეს მეუღლესთან - მ----მ ჭ----ასთან ერთად. მას შემდეგ, რაც ადვოკატ ლ--- ჯ-----------ისათვის ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულის ინტერესებს იცავდნენ თ----ა მ-------ი და ი---- ე----ა, ადვოკატმა 06.06.2022წ. სოციალურ ქსელ „facebook-ში" საჯაროდ გამოაქვეყნა პოსტი ბრალდებულის ა--------ბის მიმართ; პოსტი იყო შეურაცხმყოფელი შინაარსის - *„ა--------ი, რომლებიც ადვოკატებზე თავდამსხმელებს იცავენ, ვინ ა----ნ?"*, რასაც მოჰყვა სხვა კოლეგებისა და მოქალაქეებისგან შეურაცხმყოფელი კომენტარები, სადაც ა--------ს - თ----ა მ-------ა და ი---- ე----ს უწოდებდნენ: *„თაღლითებს"; „ფულზე გაყიდულ მონებს"; „გამყიდველებს"; „ნასედკა ა--------ს"; „ადვოკატთა ასოციაციის შემარცხვენლებს"; „სუსის ორლარიან ბ...ებს"* და ა.შ.

1.2 ა--------ს მიმართ ლ--- ჯ-----------ა შეურაცხმყოფელი პოსტი დადო სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფშიც, რომლის წევრიცაა თ---ა მ-------ი. საჩივრის ავტორთა განმარტებით, გამოქვეყნებულ პოსტზე არ იყო უშუალოდ მათი ვინაობა მითითებული, თუმცა თანდართული იყო ფოტო, რომელიც წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ მტკიცებულებას. პოსტის შინაარსით ირკვეოდა, რომ ამ გამოქვეყნებული ტექსტის ადრესატები იყვნენ ა--------ი - თ----ა მი------ი, ი---- ე---- და პოსტი უკავშირდებოდა მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს. ადვოკატმა ლ--- ჯ-----------ა პოსტი რამდენჯერმე დააკორექტირა. აწარმოვა გამოკითხვა იმის შესახებ, რისი ღირსი იყვნენ ა-------ი, ვინც იცავდნენ პირის ინტერესებს ადვოკატის წინააღმდეგ. აღნიშნულ ფაქტს საზოგადოების მხრიდან ადვოკატის პროფესიის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხმაურება ჰქონდა.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, იმ პერიოდში ადვოკატ ლაშა ჯ-----------ს ჰქონდა დავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ და დასკვნით სიტყვებშიც კი ახსენა თა----ა მი-------ი და ი---- ე----, თითქოს ა--------ი მას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიუგზავნა.

2. ადვოკატმა ლ--- ჯ----------ა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 20.06.2022წ. ელექტრონული ფოსტის (la----ja-----------i@mail.ru) მეშვეობით წარადგინა პოზიცია, რომლითაც არ დაეთანხმა თ----ა მ-------ა და ი---- ე----ს პრეტენზიებს და აღნიშნა, რომ შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, ამ საქმეში მეუღლესთან ერთად დაზარალებულად იყო ცნობილი და საქმისწარმოება უნდა შეწყვეტილიყო. ადვოკატმა უარი განაცხადა დისციპლინურ წარმოებაში შემდგომ მონაწილეობაზე.

2.1 განხილვის ეტაპზე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2024 წლის 16 მაისისა და 24 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომებში. მისი განმარტებით, ზოგადად, კარგი დამოკიდებულება აქვს ა-------ნ, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ არ იღებს წარმოებაში ისეთ საქმეებს, რომელშიც მოპასუხე მხარე შესაძლოა ადვოკატი იყოს. ადვოკატის შეფასებით, საქმეს არ ერთოდა ამონარიდი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმიდან და საჩივრის ავტორების მითითებული ფაქტი არ უნდა შეფასებულიყო. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ იმ დროისთვის მწვავე ურთიერთობა ჰქონდა მეზობლებთან, რომელთაგან ერთ-ერთს იცავდნენ საჩივრის ავტორები. მიმდინარე დავის გამო საცხოვრებელი ადგილიც კი შეიცვალეს. ადვოკატ ლ--- ჯ----------ს განმარტებით, დავა მეზობლებთან გამოიწვია ახალშენებულ კორპუსში სადარბაზოს დანაგვიანებამ სამშენებლო მასალით, რის გამოც დააწერა სადარბაზოში მსგავსი შინაარსის ტექსტი: „ნუ აქციეთ აქაურობა საღორედ“. ამის გამო ღამის საათებში მიუვარდა ნასვამი ადამიანი და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, რაზეც მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. ამას მოჰყვა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომელშიც ლ--- ჯ----------ს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

2.2 ადვოკატ ლ--- ჯ----------ს განმარტებით, თუ მან კოლეგებს რომელიმე პოსტით აწყენინა, მას არ აქვს ბოდიშის მოხდის პრობლემა და ბოდიშიც მოიხადა. ადვოკატი აკონკრეტებდა, რომ სადავო პოსტების გამო არა, ზოგადად უხდიდა კოლეგებს ბოდიშს, თუ მათ რამე ეწყინათ.

2.3 ადვიკატი უთითებდა, რომ საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი „სქრინის“ მიხედვით, მისი ანგარიში დღეისათვის არ არსებობს, დაბლოკილია. მისივე განმარტებით, მოქმედებდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რისთვისაც გამოიყენა სოციალური ქსელი „facebook-ი“ და გამოაქვეყნა სუბიექტური აზრის შემცველი პოსტი, რომელიც ზოგად შინაარსს ატარებდა და მიზნად ისახავდა ფაქტის აღნიშვნას. პირდაპირი მითითება არ გაკეთებულა ადვოკატების - თ---ა მ-------სა და ი---- ე----ს მისამართით. აღნიშნული პოსტით არ ხდებოდა მათი იდენტიფიცირება. შესაბამისად, მათი ღირსება, პატივი, რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, არ შელახულა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოქვეყნებული პოსტი მიზნად არ ისახავდა კოლეგების შეურაცხყოფას. შესაბამისად, ეს არც დასტურდება სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტით, რამეთუ მათი იდენტიფიცირება არ ხერხდება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სოციალურ ქსელებში მისი განცხადებების მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, არის ცნობილი ადამიანი. დავებს ასრულებს ერთ დღეში შემდეგი ტაქტიკით - საკითხის სოციალურ ქსელში გასაჯაროებით. მისივე განცხადებით, მას რომ თ----ა მ-------ა და ი---- ე----ს მიმართ ღია პრეტენზიები დაეწყო, შეიძლებოდა ადამიანი თვითმკვლელობამდე მისულიყო. ადვოკატის შეფასებით, პოსტი იყო საჯარო და თ----ა მ-------ა და ი---- ე----ს გარდა ბევრი, სხვა ადვოკატია საქართველოში.

2.5 ადვოკატ ლ-–– ჯ----------ს განმარტებით, ის იდევნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარისგან, რადგან მასთან წარსულში დავა ჰქონდა და ეს იწვევს ეთიკის კომისიის წევრების არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას მის მიმართ, მოცემულ საქმეზე დისციპლინური დევნის დაწყებაც ამის გამოძახილია.

3. 2023 წლის 20 დეკემბერს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ-–– ჯ----------ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4. 2024 წლის 14 თებერვლის მიწერილობით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური საქმე №040/22 გადაეცა განხილვის კოლეგიის მეოთხე დისციპლინურ კოლეგიას.

5. საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

5.1 ადვოკატი ლ-–– ჯა----------ი დაზარალებულად ცნეს სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც ბრალდებულ გიორგი ჩი------ს დაცვას ახორციელებენ ადვოკატები - თ----ა მ–------ი და ი---- ე---- (კვალიფიკაცია: სსსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი).

5.2 „Facebook-ის“ მომხმარებელმა „ა-----ი ლ-–– ჯ----------ი“, გვერდის ადმინისტრატორის როლით ჯგუფში „ა--------ი“ გამოაქვეყნა საჯარო პოსტი:

ციტირება: *„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ასეთი ქმედებები ყოველგვარ კოლეგიალობის პრინციპს სცდება, ადვოკატის ოჯახს დაესხნენ თავს დაემუქრნენ ადვოკატებს დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით და დამნაშავე პირს ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრები იცავენ ანუ ამართლებენ ადვოკატზე თავდასხმას მოგი###ნთ კოლეგიალობა გაგება შეგნება ზნეობა სინდისი და ნამუსი ფულის გამო ყველაფერს რომ ყიდით. ასეთი სიბინძურეში არც ექიმებში ხდება არც პოლიციელებში და არც პროკურორებში ასეთი ნასედკა ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციის სახელს არცხვენენ. დედას შე###ი ყველასი ვინც ადვოკატების თავდასხმას ამართლებთ Gა###ით ჩემი მეგობრებიდან სუსის 2ლა----ნი ბო#ები ხართ ყველა ვინც მასე იქცევით“.*

5.3 პოსტს ერთვის ადვოკატ ლ-–– ჯ----------ს ფოტო ტექსტთან ერთად: *„ადვოკატები, რომლებიც ადვოკატებზე თავდამსხმელებს იცავენ, ვინ არიან?“* აღნიშნულ საჯარო პოსტზე კომენტარი დატოვეს ადვოკატებმა - ნათელა გ-----მ და ნ---ა მ-----მ, სხვა მოქალაქეებთან ერთად.

ციტირება: *„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ასეთი ქმედებები ყოველგვარ კოლეგიალობის პრინციპს სცდება, ადვოკატის ოჯახს დაესხნენ თავს დაემუქრნენ ადვოკატებს დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით და დამნაშავე პირს ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრები იცავენ ანუ ამართლებენ ადვოკატზე თავდასხმას მოგი###ნთ კოლეგიალობა გაგება შეგნება ზნეობა სინდისი და ნამუსი ფულის გამო ყველაფერს რომ ყიდით. ასეთი სიბინძურე არც ექიმებში ხდება, არც პოლიციელებში და არც პროკურორებში, ასეთი ფულზე გაყიდული".*

5.4 კოლეგიამ დაადგინა, რომ სოციალურ ქსელ „Facebook-ში" სადავო საჯარო პოსტები გამოქვეყნებული იყო ლ--- ჯ----------ს მიერ და მიემართებოდა ადვოკატებს - თ----ა მ-------ა და ი---- ე---ს.

5.5 ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა, რადგან სადავო ქცევისას მოქმედებდა როგორც მხარე, იცავდა საკუთარ ინტერესებს პირად (ოჯახის) დავაში.

5.6 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ საქმის მასალების გაცნობისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ ჩადენილი იყო დისციპლინური გადაცდომა - დარღვეული იყო კოლეგიალობის ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 7, 10.1), რის გამოც ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად განუსაზღვრა გაფრთხილება.

5.7 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ლ--- ჯ----------ი ვერ აცნობიერებდა ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას ადგებოდა ზიანი, რადგან საზოგადოებას აწვდიდა შეურაცხმყოფელი (გინების) ფორმით კოლეგების შეფასება, ასევე ნეგატიურ კონტექსტში აწარმოებდა ადვოკატის პროფესიის შესახებ საზოგადოების გამოკითხვა, რომელიც აზიანებდა საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას. პოსტებს ჰქონდა ზოგადად ადვოკატის საქმიანობის მიმართ არაერთი ნეგატიური და შეურაცხმყოფელი გამოხმაურება. ასევე ადვოკატ ლ--- ჯ----------ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის შეფარდებული ჰქონდა სხვა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 056/22; რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის სსდ-02-24 გადაწყვეტილებით), შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა.

5.8 ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, №040/22 დისციპლინურ საქმეზე

დადგინდა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს /სიითი №6128/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საფუძვლით და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

5.9 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 3 ივლისის №040/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ლ--- ჯ----------ა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

6. საჩივრის ავტორის განმარტებით, №040/22 საქმე განიხილა ეთიკის კომისიის უკანონო შემადგენლობამ, რაც მისი გაუქმების საფუძველია. ვინაიდან ეთიკის განმხილველ კოლეგიის შემადგენლობაში იყო ი--- ბ-----, რომლის მიმართაც სხვა საქმე 078/23-ზე ადვოკატის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა აცილების თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ი--- ბ----- ვალდებული იყო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის და მეორე პუნქტის თანახმად თვითაცილება დაეყენებინა საქმის განხილვისას.

6.1 ადვოკატის განმარტებით, №040/22-ში დისციპლინურ საქმეში დევს დოკუმენტი მის დაზარალებულად ცნობის შესახებ, სასამართლო განაჩენი და სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ აღნიშნულ საქმეში არ მონაწილეობდა როგორც ადვოკატი და იგი როგორც დაზარალებული ლ--- ჯ----------ი, ისე წერდა სტატუსებს.

6.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების ნორმები და გადაწყვეტილება მიიღო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით.

6.3 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიას საქმის განხილვისას უნდა გამოეყენებინა „სიტყვისა და აზრის გამოხატვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი. დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. მის მიერ გაკეთებული განცხადება იყო საქმის შეფასება, რომელშიც იგი დაზარალებულად იყო ცნობილი.

6.4 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მისი „facebook“ სტატუსი საჯარო გამოკითხვად უნდა შეფასდეს, რომელიც არ შეიძლება განხილულიყო როგორც საზიანო თავდასხმად, რასაც შეიძლება გამოეწვია ადრესატისთვის პატივის, ღირსების თუ რეპუტაციის შელახვა, ვინაიდან მოპასუხეები არ იყვნენ იდენტიფიცირებადები, შესაბამისად მათ მიმართ არ დარღვეულა კოლეგიალობის პრინციპი, იგი მოქმედებდა ადვოკატთა კორპუსის ინტერესების პრიორიტეტულობის შესაბამისად. ხოლო რაც შეეხება პიროვნულ დამოკიდებულებას, კოლეგიაში საქმის განხილვისას დაადასტურა, რომ პატივს სცემს კოლეგიალობას და თუ რამე აწყენინა კოლეგებს, ბოდიშიც მოიხადა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №040/22 დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2024 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 3 ივლისის №040/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სადისციპლინო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

10. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარში

კვალიფიციური შედავება განხორციელებული არ არის და, ამასთან, არც რაიმე ისეთი სახის მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ, წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1-5.5 პუნქტებში მითითებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს.

11. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ განხილვის კოლეგიამ არასწორად დაადგინა სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ–– ჯ----------ი“ გვერდის ადმინისტრატორის როლით, ჯგუფში „ა--------ი“ გამოქვეყნებული „Facebook“ პოსტები, რომ უშუალოდ ეხებოდა თ----ა მ–------ს და ი---- ე-----ს, ვინაიდან აღნიშნული პოსტებით არ ხდებოდა მათი იდენტიფიცირება; სამართლებრივი თვალსაზრისით კი, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება განხილვის კოლეგიის შეფასებას მასზე, რომ სადავო პოსტებში გამოხატული გამონათქვამები არ ექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რაც მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას განაპირობებდა. განხილვის კოლეგიის დასკვნების საპირისპიროდ, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ სადავო პოსტების შინაარსი მოიცავდა შეფასებით მსჯელობას, რომელიც მიმართული არ იყო კონკრეტული პირის მიმართ, მეორე მხრივ კი, იგი ამ შემთხვევაში მოქმედებდა, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული და არა, როგორც ადვოკატი. შესაბამისად, არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები.

12. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შესაფასებელია საქმეში დაცული „Facebook“ პოსტები ეხება თუ არა თ----ა მ–------სა და ი---- ე-----ს და ხდება თუ არა აღნიშნული პოსტებით მათი იდენტიფიცირება. ამასთანავე, სადავო „Facebook“ პოსტებში გადმოცემული გამონათქვამები ექცევა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რაც ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას განაპირობებს.**

13. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორმა დასაბუთებული შედავება ან/და რაიმე რელევანტური მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა განხილვის კოლეგიის მსჯელობას მასზე, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, დგინდებოდა სადავო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ „ად----ი ლ–– ჯ----------ი“ გვერდის

ადმინისტრატორის როლით, ჯგუფში „ა--------ი“ გამოქვეყნებული „Facebook“ პოსტები გამოქვეყნებული იყო ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ და ეხებოდა თა----ა მი-------სა და ი---- ეხ----ს, რომლის შინაარსიდან გამომდინარე მათი ვინაობა იდენტიფიცირებადი იყო. აღნიშნულ გარემოებას ირიბად არც ადვოკატი ლ--- ჯ---------ი ხდის სადავოდ.

14. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას იმის თაობაზე, რომ მის მიერ გამოქვეყნებული პოსტი (*„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ასეთი ქმედებები ყოველგვარ კოლეგიალობის პრინციპს სცდება, ადვოკატის ოჯახს დაესხნენ თავს დაემუქრნენ ა--------ს დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით და დამნაშავე პირს ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრები იცავენ ანუ ამართლებენ ადვოკატზე თავდასხმას მოგ#ნთ კოლეგიალობა გაგება შეგნება ზნეობა სინდისი და ნამუსი ფულის გამო ყველაფერს რომ ყიდით. ასეთი სიბინძურეში არც ექიმებში ხდება არც პოლიციელებში და არც პროკურორებში ასეთი ნასედკა ა-------ი ადვოკატთა ასოციაციის სახელს არცხვენენ. დედას შევე#ი ყველასი ვინც ა--------ს თავდასხმას ამართლებთ გააჯ#ით ჩემი მეგობრებიდან სუსის 2ლარიანი ბო#ები ხართ ყველა ვინც მასე იქცევით“)* იყო პირადი, ზოგადი შინაარსის გამომხატველი, რომელიც არავის მიმართ არ იყო გამოქვეყნებული, მიზნად არ ისახავდა ვინმეს შეურაცხყოფას და არ იყო პირთა მაიდენტიფიცირებელი. პალატამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პოსტში აღწერილი იყო საქმის შინაარსი *(ციტირება: ადვოკატის ოჯახს დაესხნენ თავს დაემუქრნენ ადვოკატებს დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით და დამნაშავე პირს ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრები იცავენ);* მეტიც, პოსტს ერთოდა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს ფოტო ტექსტთან ერთად (ციტირება: *„ადვოკატები რომლებიც ადვოკატებზე თავდამსხმელებს იცავენ ვინ არიან?“*) და აღნიშნულ საჯარო პოსტებზე არაერთი უარყოფითი და შეურაცხმყოფელი კომენტარი დაიწერა, მათ შორის საქმის შინაარსის ცოდნით.

15. ამდენად, სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, განხილვის კოლეგია დაეყრდნო არა მარტო მომჩივნის მიერ წარმოდგენილი „სქრინების“ გამოკვლევის შედეგებს, არამედ დამატებით მხედველობაში მიიღო მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი და ზეპირი პოზიციები, მათ შორის, საჩივრის ავტორის არათანმიმდევრული პოზიციები ფაქტობრივი გარემოებების აღწერის შესახებ; კერძოდ, ერთი მხრივ, ლ--- ჯ----------ი სადავოდ ხდიდა საქმეში არსებულ სოციალურა ქსელ „facebook-ის“ სქრინების ავთენტურობას და უარყოფდა სადავო პოსტების განთავსებას, მოგვიანებით კი აღიარებდა პოსტების გამოქვეყნებას და აღნიშნავდა, რომ ზოგადად ფაქტზე ისაუბრა და არა საჩივრის ავტორებზე.

16. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ეთიკის კომისიის მიერ მითითებულ გარემოებათა შეფასებაც უკვე საკმარისია და იძლევა იმ დასკვნის

გამოტანის შესაძლებლობას, რომ ადვოკატ ლ-–– ჯ----------ს მიერ გამოქვეყნებული სადავო „Facebook“ პოსტები იყო შეურაცხმყოფელი, მიმართული ბრალდებულის ადვოკატთა მიმართ და თავისი შინაარსით ახდენდა თ-–ა მ–------ა და ი---- ე-----ს იდენტიფიცირებას.

17. ამდენად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა ურთიერთშეჯერების, მათი ერთობლივი ანალიზისა და შეფასების შედეგად, სადისციპლინო პალატა ეჭვქვეშ არ აყენებს ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ სადავო ფაქტობრივ გარემოებებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საჩივრის ავტორმა, მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საჩივრის განხილვის სხდომაზე დაადასტურა „facebook“ პოსტების მის მიერ გამოქვეყნების ფაქტი.

18. ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საპირისპიროდ, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ სწორად დაადგინა, რომ სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ გვერდიდან „ა-----ი ლ-–– ჯ----------ი“ გვერდის ადმინისტრატორის როლით, ჯგუფში „ა--------ი“ გამოქვეყნებული „Facebook-ის“ პოსტების ავტორს ადვოკატი ლ-–– ჯ----------ი წარმოადგენდა და აღნიშნული შეურაცხმყოფელი პოსტები ეხებოდა ადვოკატებს, რომელიც თავისი შინაარსით ადვოკატების: თ----ა მ–------ს და ი---- ე-----ს პირების მაიდენტიფიცირებელია, საჩივრის ავტორმა არათუ ვერ მიუთითა ვერც ერთ ისეთ გარემოებაზე და ვერ წარმოადგინა რაიმე რელევანტურ მტკიცებულება, რაც სადისციპლინო პალატას განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოების სისწორეში/სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩენდა, პირიქით, იგი უთითებდა რომ მისი ქმედებები უნდა შეფასებულიყო, როგორც დაზარალებულის და არა როგორც ადვოკატის ქმედებები.

19. სადისციპლინო პალატა ადვოკატ ლ-–– ჯ----------ს ვერც იმ შედავებას გაიზიარებს, რომ მის სოციალურ ქსელ „Facebook-ის“ მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ-–– ჯ----------ი“, გვერდის ადმინისტრატორის როლით, ჯგუფში „ა--------ი“ გამოქვეყნებული „Facebook“ პოსტები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რაც მისი დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

20. ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა, პირველ რიგში, ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის *(შემდგომში - კონვენცია)* მე-10 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული

საზოგადოების, ისე ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლი განსაზღვრავს სიტყვის თავისუფლების ხელყოფის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, პალატა აქვე აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და სწორედ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ამ უფლების შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში. კერძოდ:

20.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

20.2 „კონვენციის“ მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

20.3 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო

შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.

20.4 აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადგინა არაერთ საქმეში. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში აღინიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხმყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელია. ამიტომ, გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ *(HaN№dyside v. the UN№ited KiN№gdom (7 December 1976, Series A №o. 24), Stoll v. SwitzerlaN№d ([GC] №o. 69698/01, § 101, ECHR 2007-V); AN№imal DefeN№ders IN№terN№atioN№al v. the UN№ited KiN№gdom [GC], №o. 48876/08, § 100, ECHR 2013; Morice v. FraN№ce [GC], №o. 29369/10, § 124, 23 April 2015).* როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება - გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც - თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს *(Ärztekammer Fur WieN№ AN№d DorN№er v. Austria, №o. 8895/10, § 62, 16 February 2016).*

20.5. ამდენად, გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარებისა და მთლიანად, საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია. სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39),* თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით. კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი

თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ, როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია“ *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).*

21. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც დადგენილია, რომ ადვოკატ ლ--- ჯ-------ს მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული საჯარო პოსტები ეხება მის კოლეგებს, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ გაკეთებული განცხადებები პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც სამოქალაქო, ისე პროფესიული უფლებები და თავისუფლებები. სწორედ ამ მიზნით, სადისციპლინო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოიხმოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უშუალოდ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.

21.1 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში *(Schöpfer v. SwitzerlaN№d, 20 May 1998, §§ 29-30, Reports 1998-III; N№ikula v. FiN№laN№d, N№o. 31611/96, § 45, ECHR 2002-II; Amihalachioaie v. Moldova, N№o. 60115/00, § 27, ECHR 2004-III; KypriaN№ou v. Cyprus [GC], N№o. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII; AN№dré aN№d AN№other v. FraN№ce, N№o. 18603/03, § 42, 24 July 2008; aN№d Mor v. FraN№ce, N№o. 28198/09, § 42, 15 December 2011),* თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ ნდობა გაუჩნდეთ, ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იურიდიული პროფესიის შესაძლებლობაში გასწიოს ეფექტიანი წარმომადგენლობა *(KypriaN№ou v. Cyprus [GC], N№o. 73797/01, § 175, ECHR 2005-XIII).*

21.2 დამოუკიდებელი პროფესიონალის ეს სპეციალური როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატებს მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს, კონკრეტულად, მათ ქცევასთან მიმართებაში *(VaN№ der Mussele v. Belgium, 23 N№ovember 1983, Series A N№o. 70; Casado Coca v. SpaiN№, 24 February 1994, § 46, Series A N№o. 285-A; Steur v. the N№etherlaN№ds, N№o. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI; Veraart v. the N№etherlaN№ds, N№o. 10807/04, § 51, 30 N№ovember 2006; aN№d CoutaN№t v. FraN№ce (dec.), N№o. 17155/03, 24*

JaNuary 2008). ამ მოვალეობების თანახმად, ადვოკატებს მოეთხოვებათ კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული ქცევა. სანაცვლოდ, ისინი აღჭურვილნი არიან ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, მათ შორის, თავისუფლებით არგუმენტების წარდგენისას სასამართლო დარბაზში *(Steur v. the NetherlaNds, No. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI).* **თუმცა ის, რაც დასაშვებია ადვოკატისათვის სასამართლო დარბაზში, შესაძლებელია, დაუშვებელი იყოს სასამართლო დარბაზის გარეთ.**

21.3 შესაბამისად ცალსახაა, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ ადვოკატებიც, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შეხედულებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ეს ინფორმაცია და შეხედულებები ვრცელდება *(Foglia v SwitzerlaNd, No. 35865/04, § 85, 13 December 2007).* კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატებს უფლება აქვთ საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე, **თუმცა მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს** *(Amihalachioaie v. Moldova, No. 60115/00, §§ 27-28, ECHR 2004-III; Foglia, v SwitzerlaNd, No. 35865/04, § 86, 13 December 2007; Mor v. FraNce, No. 28198/09, § 43, 15 December 2011).* **ასეთი საზღვრები დაწესებულია ჩვეულებრივი აკრძალვებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადვოკატთა ქცევის კოდექსი სხვადასხვა ქვეყანაში** *(KypriaNou v. Cyprus [GC], No. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII),* **სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადვოკატის „ღირსებას", „პატივს", „კეთილსინდისიერებას" და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ პატივისცემას** *(იხ. სუსგ საქმეზე №ას-622-2022, 05/07/2023 წ.).*

22. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს; აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულება, ხოლო მე-10 მუხლი პირველი პუნქტის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს.

23. გარდა ამისა, სადისციპლინო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს

იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №დს-მ/7-16).*

24. საჩივრის ავტორის შედავების გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, აუცილებელია დამატებით შეფასდეს სადავო განცხადებებში დაცული გამონათქვამები ადვოკატის აზრის/შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

25. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

26. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა, როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზით, მათი განსხვავება შესაძლებელია.

27. ევროსასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე: *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Li№ge№s v. Austria, 8 July 1986, §46, Series A №o. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Obershlik v. Austria (Applicatio№ №o. 11662/85 (№1), 1991 23.05.1991)* გამიჯნა განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო შეფასებითი

მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს *(იხ. დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I- De Haes a№d Gijsels, §42.),* ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება *(იხ. Morice v. Fra№ce [GC], №o. 29369/10, §126, ECHR 2015).*

28. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პოსტები მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორთა პატივისა და ღირსების შელახვას და შეურაცხყოფას, არამედ ის იყო გარკვეული კონსტატაცია ,,მახინჯი პრაქტიკისა", რომელიც მიზნად ისახავდა ადვოკატთა კორპუსის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით მოქმედებას. პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მართალია ადვოკატებს, როგორც საზოგადოებისთვის ცნობად სახეებს, ცალსახად გააჩნიათ უფლება გამოთქვან მოსაზრებები საჯაროდ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სიტყვის გამოხატვის თავისუფლების განხორციელება უფლებასთან ერთად მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. ამ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას კი, პირველ რიგში, ზუსტად ის განაპირობებს, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ვეკიდებით არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის თავისუფლებასაც და რამდენად ვაღიარებთ და ვიცავთ არა მხოლოდ საკუთარ უფლებებს, არამედ ჩვენს მოვალეობებსაც სხვების წინაშე. შესაბამისად ცალსახაა, რომ ადვოკატის პროფესიის მატარებელი პირის მიერ სიტყვის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა გადასცდეს დასაშვებ ზღვარს და იგი თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ადვოკატთა ქცევის წესებით დადგენილ ძირითად პრინციპებთან, რომლებიც შეეხება მათ შორის ღირსებას, პატივს, კოლეგიალობას, კეთილსინდისიერებას, პროფესიულ ღირებულებებს და სხვ.

29. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადვოკატი ლ––– ჯ---------ი ზემოხსენებული გამონათქვამების გამოქვეყნებისას მოქმედებდა საჯარო სივრცეში, თუმცა, სადისციპლინო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. ამ მიმართებით, სადისციპლინო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის №ას-1559-1462-2012 გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი *(ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ).* თითოეული სოციალური ქსელი შედგება

მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან *(ე.წ. პროფაილი),* მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „facebook“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „facebook-ზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.

30. სადისციპლინო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მომდევნო შედავებას მასზე, რომ იგი ამ საქმეში მოქმედებდა როგორც დაზარალებული ლ––– ჯ––––––––––ი და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა. ამ მიმართებით, სასამართლომ მხედველობაში მიიღო საჩივრის ავტორის სტატუსი, ასევე პირის სტატუსი, რომელიც სადავო კომენტარების ადრესატია, აღნიშნული კომენტარების კონტექსტი, ფაქტობრივი საფუძველი და ბუნება. პალატა მიუთითებს „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის“ მე-11 მუხლის 1 ნაწილზე, მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს. ასევე აღსანიშნავია შესავალი ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისობა ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

31. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია დამატებითი მოსაზრება მასზე, რომ ი. ბერიძესს მოცემულ საქმეზე უნდა დაეყენებინა თვითაცილება, ვინაიდან აღნიშნულ საქმეს წინ უსწრებდა სხვა საქმე №078/23, რომლის განხილვის დროსაც დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა ი. ბერიძის აცილების თაობაზე. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული არგუმენტი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინურის წარმოების მონაწილე მხარემ უნდა წარადგინოს განცხადება აცილების შესახებ 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა

გარემოება, რომელიც იძლეოდა ეთიკის კომისიის წევრის ან დისციპლინური კოლეგიის წევრის აცილების საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ლ--- ჯ-------ს არ უსარგებლია დებულებით გათვალისწინებული უფლებით და არ მიუმართავს ეთიკის კომისიისთვის ი. ბერიძის აცილების შესახებ განცხადებით, სხვა საქმეზე დამდგარი შედეგი კი ვერ გამოდგება საჩივრის ავტორის მიერ მითითებული არგუმენტის გასამყარებლად. ამრიგად, საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

32. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

33. განსახილველ შემთხვევაში, წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა იზიარებს განხილვის კოლეგიის სამართლებრივ შეფასებას მასზე, რომ ლ--- ჯ----------ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ (მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის პირველი ქვეპუნქტი), რის გამოც ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელის სახით - გაფრთხილება.

34. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ, ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ლ--- ჯ----------ი საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{64} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 3 ივლისის №040/22 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **გ. აბუსერიძე**

მოსამართლეები: **მ. ერემაძე**

თ. ძიმისტარაშვილი